ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №91/გ

ქ. მცხეთა

12 ივნისი 2014 წელი

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 პრიმა მუხლის მესამე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 05 ივნისის N438 ბრძანების თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ატაშვილის სახით, შემდგომში „შემსყიდველი" და მეორე მხრივ ი.მ „ვასილ რუბაშვილის" სახით შემდგომში „მიმწოდებელი" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ქ. მცხეთაში, რუსთაველის ქუჩაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული სანიაღვრეს აღგენის სამუშაოების შესყიდვა. (CPV45200000).

2. სამუშაოს შესრულების ვადა და ღირებულება

2.1 სამუშაოს შესრულების ვადაა 2014 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 3900 (სამიათასცხრაასი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიღება ჩაბარების აქტისა და ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შემდეგ.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას;

4.1.1 შეასრულოს სამუშაო ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

4.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მიმწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მიმწოდებელს" არ აუნაზღაუროს შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11 ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურულ სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსი და შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული.

12 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2014 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი მცხეთის მუნიციპალიტეტი ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7 ს/კოდი: 236094196 სს „ლიბერთი ბანკის" მცხეთის ფილიალი ბანკის კოდი: LBRTGE22 ა/ა GE93LB0120130269077000 მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ატაშვილი	მიმწოდებელი ი.მ „ვასილ რუბაშვილი" მის: ქ.მცხეთა, სოფ. ძალისი ს/კოდი: 31001001237 სს „საქართველოს ბანკის" მცხეთის ფილიალი ტელ: 599 16 78 23 ლიბერთი კოდი: BAGAGE22 ა/ა GE10BG0000000389194700 ინდ.მეწარმე ვ. რუბაშვილი